# ხელშეკრულება N47

ქ.ხაშური 25 აპრილი 2023 წელი

ერთი მხრივ ააიპ **ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება** (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ბოლოკაძის** სახით, მეორე მხრივ **ინდივიდუალური მეწარმე კონსტანტინე ლაცაბიძე** (შემდგომში მიმწოდებელი), "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]'' ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

   1.1 ხელშეკრულების საგანია: ხაშურის მუნიციპალიტეტში მოღვაწე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატების და მათი ანმუშევრების ტრანსორტირება სსიპ ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიო ცენტრის გალერეაში გამართული კულტურული ღონისძიებაზე წარდგენილი ნამუშევრების ტრანსპორტირება 1 (ერთი) სატრანსპორტო საშუალებით CPV:60170000

2. ხელშეკრულების ღირებულება
   2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 200.00 (ორასი) ლარს;

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები
   3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, ორგანიზაციის კულტურული ღონისძიებების შესაბამისი მუხლიდან;
   3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/სააქონლო ზედნადების საფუძველზე
4. მიღება-ჩაბარების წესი
   4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე
   4.2 მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;
5. მომსახურების ვადა და მიწოდების ადგილი
   5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია თბილისი-ხაშური;
   5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელედება 2023 წლის 25 აპრილს;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები:
   6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება
   6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.
   6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
   6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში
7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0.02%ის ოდენობით

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ხელშეკრულების შესრულებისაგან

8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა, დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი წესით

9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია, ხელშეკრულების ღირებულების 10%ზე მეტი ოდენობით

9.1 ფორს-მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისთ გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით, აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუსრულებლობის შესახებ

9.2 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდშ წარმოშობილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

10 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ვადაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2023 წლის 31 მაისამდე;

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
| **ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება** | **ი.მ კონსტანტინე ლაცაბიძე** |
| ხაშური, რუსთაველის მე-2 ე შესახვევი | ხაშური, სოფელი ცხრამუხა |
| საიდენტიფიკაციო კოდი 243918070 | საიდენტეიფიკაციო კოდი 57001018043 |
| ბანკის კოდიTRESGE22 | ბანკის კოდი LBRTGE22 |
| ა/ა GE24NB0330100200165022 | ა/ა GE55LB0112185352238000 |
| N(N)LE "The United Centers of Cultural and Children and Adults Creative Development" Digitally signed by N(N)LE "The United Centers of Cultural and Children and Adults Creative Development" Date: 2023.04.25 10:38:33 +04'00' | Konstantine Latsabidze Digitally signed by Konstantine Latsabidze Date: 2023.04.25 21:14:00 +04'00' |
| _____ | _____ |
| გაერთიანების დირექტორი | ინდ მეწარმე |
| გიორგი ბოლოკაძე | კონსტანტინე ლაცაბიძე |